Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში

#3, დეკემბერი, 2017

საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების პროპორციულობის დონე 1999-2016 წლებში

შოთა ნარსია

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: shotanarsia95@gmail.com

რეზიუმე

მოცემული კვლევის მიზანია არჩევნების შედეგების პროპორციულობის დონის შესწავლა 1999 წლიდან უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებამდე და არაპროპორციულობის მიზეზების დადგენა. სტატია ეყრდნობა მეორადი მონაცემების ანალიზს. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და პარლამენტის მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საქართველოს პარლამენტის ხუთი არჩევნების (1999, 2004, 2008, 2012 და 2016 წლების) შედეგები. არჩევნების შედეგების პროპორციულობის დონის საზომად გამოყენებულია პიპა ნორისის მიერ შემოთავაზებული უდიდესი გადახრის მაჩვენებლები და „გამარჯვებულის ბონუსი“. თითოეული არჩევნების შედეგად გამარჯვებული პარტიებისა და ბლოკების მიერ მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობისა და მათ მიერ მოპოვებული მანდატების წილის სხვაობა („გამარჯვებულის ბონუსი“) შედარებულია მოცემული საარჩევნო სისტემის უდიდესი გადახრის მაჩვენებლისთვის. არაპროპორციულობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოსავლენად კი შესწავლილია ბარიერს მიღმა დარჩენილი საარჩევნო სუბიექტების მიერ ჯამში მიღებული ხმების რაოდენობა და არჩევნების საერთო შედეგებით პირველ ადგილზე გასული პარტიების/ბლოკების მიერ მიღებული მაჟორიტარული მანდატების წილი. შესწავლილი 5 არჩევნებიდან არაპროპორციულობის დონე მხოლოდ ერთ მათგანშია ნორმის ფარგლებში (2012 წლის არჩევნები). სხვა შემთხვევაში კი არჩევნების შედეგების არაპროპორციულობის ძალიან მაღალი დონე ფიქსირდება. კვლევის შედეგად გამოიკვეთა აღნიშნულის განმაპირობებელი ორი ფაქტორი: ბარიერს მიღმა დარჩენილი საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების დიდი რაოდენობა და მაჟორიტარული მანდატების უდიდესი უმრავლესობის მოპოვება არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტიის/ბლოკის მიერ.

საკვანძო სიტყვები: პროპორციულობა, არჩევნების შედეგებიდან გადახრა, გამარჯვებულის ბონუსი, საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ბარიერი.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს საარჩევნო სისტემის ტიპიც უნდა აერჩიათ. იმისათვის, რომ მაჟორიტარული და პროპორციული სისტემის ნაკლოვანებები აღმოფხვრილიყო, ძირითადად, არჩევანი შერეულ საარჩევნო სისტემაზე შეჩერდა, თუმცა როგორც ცნობილი მეცნიერი, რობერტ დალი, აღნიშნავდა, ამ ქვეყნებმა ორივე საარჩევნო სისტემის ნაკლოვანებები უფრო აითვისეს, ვიდრე მათი ძლიერი მხარეები (რადიო თავისუფლება, 2011). ასე მოხდა საქართველოშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს არჩევნების შედეგების პროპორციულ ასახვას მანდატებში. ხელისუფლება ფლობს ბერკეტს, რომ მიიღოს იმაზე მეტი მანდატი, რაც მას პროპორციული წესით შეიძლება ეკუთვნოდეს. შედეგად, ვიღებთ ისეთ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, სადაც მმართველი ძალის წარმომადგენლობის დონე არ შეესაბამება მისი მხარდაჭერის მაჩვენებელს. მაგალითად უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც 2016 წელს ჩატარდა, პარტიამ - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, ამომრჩეველთა ხმების 48,68% მოიპოვა, თუმცა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით, 115 დეპუტატით, შევიდა, რაც სრული შემადგენლობის 76,67 %-ია.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით, შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის რედაქცია შეიმუშავა. მას მოჰყვა საყოველთაო-სახალხო განხილვები, სადაც ბოლო რამდენიმე არჩევნებზე გამარჯვებულის ბონუსის შესახებ პოლიტიკოსების მხრიდან ურთიერთსაპირისპირო ინფორმაცია გაჟღერდა. სისტემური სამეცნიერო კვლევა კი, რომელიც საარჩევნო სისტემის ავტორიტეტული მკვლევრების მიერ შემოთავაზებულ საზომებზე დაყრდნობით შეისწავლიდა საქართველოში არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალების მიერ მიღებული ბონუსების სიდიდესა და მის გამომწვევ მიზეზებს, პრაქტიკულად, არ ჩატარებულა.

ჩვენი კვლევის მიზანია არჩევნების შედეგების პროპორციულობის დონის შესწავლა 1999 წლიდან უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებამდე, არაპროპორციულობის მიზეზების დადგენა. კვლევის ამოცანას არჩევნების ოფიციალური შედეგების შესწავლა წარმოადგენს. კვლევის კითხვაა, თუ რა განაპირობებს არჩევნების შედეგების არაპროპორციულობას საქართველოში.

1999-დან 2016 წლამდე საქართველოს პარლამენტის 5 ძირითადი და ერთი განმეორებითი არჩევნები ჩატარდა. 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარლამენტი 235 წევრისგან შედგებოდა, საიდანაც 150 პროპორციული, 85 კი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ირჩეოდა. აღსანიშნავია, რომ 1999 წლის არჩევნების შედეგად მაჟორიტარული სისტემით არა 85, არამედ 73 მანდატი განაწილდა, რადგან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 12 მაჟორიტარ დეპუტატს გაუგრძელდა უფლებამოსილება, იმის გამო, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარება ვერ ხერხდებოდა. 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ ბათილად ცნო. მან გააუქმა არჩევნების პროპორციული შედეგები, თუმცა ძალაში დატოვა არჩევნების შედეგების ის ნაწილი, რომელიც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მანდატების განაწილებას ეხებოდა. 2004 წლის 28 მარტს კი ჩატარდა განმეორებითი არჩევნები, სადაც მანდატები მხოლოდ პროპორციული სისტემით განაწილდა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენთვის რელევანტური იყო არჩევნების შედეგები პროპორციული სისტემის საფუძველზე, ხოლო 2004 წელს დაფიქსირებულ შედეგებს ვერ შევადარებდით 2003 წლის მოცემულობას, ამ უკანასკნელის შესწავლაზე უარის თქმა მოგვიხდა. 2004 წლის არჩევნების შედეგები კი შევადარეთ არა პარლამენტის სრულ შემადგენლობას, არამედ ამ არჩევნების შედეგად პარლამენტში პროპორციული სისტემით საარჩევნო სუბიექტების მიერ მოპოვებული მანდატების განაწილებას. ამ უკანასკნელის შესახებ უფრო დეტალურად მეთოდოლოგიის აღწერისას ვისაუბრებთ.

2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების პარალელურად ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებიც უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა. რეფერენდუმი ითვალისწინებდა პარლამენტის შემადგენლობის 235-დან 150-მდე შემცირებას, რასაც ამომრჩეველთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. აღნიშნული შესწორება 2008 წლის არჩევნებისთვის ამოქმედდა. ამ არჩევნებზე პარლამენტის 150 წევრიდან 75 პროპორციული, 75 კი მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე აირჩა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად კი, საკონსტიტუციო ცვლილების გათვალისწინებით, პროპორციული სისტემით - 77, მაჟორიტარულით კი 73 დეპუტატი იქნა არჩეული. 2016 წლისთვისაც პარლამენტში მანდატების განაწილება იდენტური იყო (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

მანდატების განაწილება პარლამენტში 1999-2016 წლებში

არჩევნების წელი	პროპორციული სისტემის საფუძველზე	მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე	სულ
1999	150	85*	235
2004**	150	-	150
2008	75	75	150
2012	77	73	150
2016	77	73	150

** 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული იქნა 73 დეპუტატი, რადგან აფხაზეთის არ-ის 12 დეპუტატს გაუგრძელდა უფლებამოსილება;*

*** 2004 წლის არჩევნები ჩატარდა მხოლოდ პროპორციული სისტემით. მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე მანდატები განაწილდა 2003 წლის არჩევნების შედეგად.*

თეორიული ჩარჩო

საარჩევნო სისტემებს იკვლევს ცნობილი მეცნიერი პიპა ნორისი. ნორისის მიხედვით, თუ ამომრჩეველი, ქვეყნის მასშტაბით, დაყოფილია სამ ან ოთხ პარტიას შორის, საარჩევნო სისტემის არაპროპორციულობა მნიშვნელოვნად აზარალებს მეორე, მესამე და შემდგომ ადგილებზე მყოფ პარტიებს. პ. ნორისის მიხედვით, არჩევნების შედეგების პროპორციულობა ზომავს, თუ რა შესაბამისობაა პარტიების მიერ მიღებული ხმების წილსა და მათ მიერ მოპოვებული ადგილების წილს შორის. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და დახვეწილი საზომი კი არის უდიდესი გადახრა არჩევნების შედეგებიდან, რომელსაც ნორისი „გამარჯვებულის ბონუსს“ (“Winner’s bonus”) უწოდებს (Norris, 1997, p. 307).

არჩევნების შედეგებიდან გადახრა გვიჩვენებს, თუ რამდენად აღემატება გამარჯვებული პარტიის მიერ მოპოვებული მანდატების წილი არჩევნებზე მიღებული ხმების პროცენტულ რაოდენობას. აღნიშნული გადახრა ყველა საარჩევნო სისტემაში გამოიყოფა, თუმცა განსხვავდება უდიდესი გადახრის პუნქტის მიხედვით. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის პირობებში უდიდესი გადახრა („გამარჯვებულის ბონუსი“) 12,5%-ია. შერეულ საარჩევნო სისტემაში აღნიშნული მაჩვენებელი 7,4%-იან პუნქტს შეადგენს, ხოლო პროპორციული სისტემის შემთხვევაში 5,7%-ს არ აღემატება. ამდენად, მაჟორიტარული სისტემის პირობებში, პარტიამ, რომელიც 37,5%-ზე მეტ ხმას იღებს, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება, პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვოს (Norris, 1997, p. 307).

მეთოდოლოგია

„გამარჯვებულის ბონუსის“ შესასწავლად, ძირითადად, გამოვიყენეთ მეორადი მონაცემების ანალიზი. შევისწავლეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და პარლამენტის ოფიციალური მონაცემები. გავაანალიზეთ ხუთი არჩევნების - 1999, 2004, 2008, 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების

შედეგები. განსაკუთრებით ნიშანდობლივია შემდეგი მაჩვენებლების შედარება: 1. პროპორციული სისტემით საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობა; 2. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული მანდატების პროცენტული წილი პარლამენტის სრულ შემადგენლობაში (გამონაკლისს წარმოადგენს 2004 წლის არჩევნები, რომლის შედეგადაც მხოლოდ პროპორციული სისტემისათვის გათვალისწინებული მანდატები განაწილდა. ამიტომაც ამ შემთხვევაში არჩევნების შედეგები პარლამენტში პროპორციული სისტემით მანდატების განაწილებას შევადარეთ). ამ ორი მაჩვენებლის მიხედვით კი შეგვიძლია, განვსაზღვროთ „გამარჯვებულის ბონუსი“.

არჩევნების შედეგებიდან გადახრის მაჩვენებელი გავაანალიზეთ როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. თითოეული არჩევნების შემთხვევაში შევისწავლეთ იმ ხმების რაოდენობა, რაც მიიღეს იმ პარტიებმა/ბლოკებმა, რომლებმაც საარჩევნო ბარიერი (7% 1999 და 2004 წლის არჩევნებზე; 2008, 2012 და 2016 წლების არჩევნებზე კი 5%) ვერ გადალახეს. აგრეთვე, შევისწავლეთ არჩევნებში პირველ ადგილზე გასული საარჩევნო სუბიექტების (პარტიები/ბლოკები) მიერ მოპოვებული მაჟორიტარული მანდატების ფარდობითობა. ეს ყოველივე კი საშუალებას გვაძლევს, გამოვლენილი პროპორციულობის დონის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები.

არჩევნების შედეგებიდან გადახრის დონე 1999-2016 წლებში

საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში სამმა საარჩევნო სუბიექტმა შეძლო 7%-იანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა. იმ პარტიებისა და ბლოკების მიერ მიღებულმა ჯამურმა მხარდაჭერამ, რომლებმაც ბარიერი ვერ გადალახეს, 25,39 % შეადგინა. პირველ ადგილზე გავიდა პარტია - „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, რომელმაც პროპორციული სისტემის საფუძველზე ქვეყნის

მასშტაბით ამომრჩეველთა საერთო ხმების 42,07 % მოიპოვა. მანდატების პროპორციულად განაწილების შემთხვევაში ამომრჩეველთა მხარდაჭერის აღნიშნული დონე არ უნდა ყოფილიყო საკმარისი პარლამენტში უმრავლესობის მოსაპოვებლად, თუმცა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მანდატები განსხვავებული პროპორციით განაწილდა, პირველ ადგილზე გასული პარტიის სასარგებლოდ (საქართველოს პარლამენტი, 1999).

მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე გასანაწილებელი 85 მანდატიდან არჩევნების შედეგად 73 აირჩა. 12 მაჟორიტარ დეპუტატს, რომლებიც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იყვნენ არჩეულნი, კიდევ ერთხელ გაუხანგრძლივდათ უფლებამოსილების ვადა იმის გამო, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარება შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილმა 17-მა კანდიდატმა გამარჯვება შეძლო. ყველაზე მეტი, 46 დეპუტატი კი „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“ გაიყვანა. ამ უკანასკნელის მიერ ორივე საარჩევნო სისტემის საფუძველზე მოპოვებული მანდატების რაოდენობამ 131 შეადგინა, რაც პარლამენტის სრული შემადგენლობის (235) 55,74%-ს უტოლდება (საქართველოს პარლამენტი, 1999).

არჩევნების შედეგების დეტალურ ანალიზს ქვემოთ, ცხრილის სახითაც, წარმოგიდგენთ. მეტი თვალსაჩინოებისათვის, ცხრილში მუქადაა გაფერადებულია გამარჯვებული საარჩევნო სუბიექტის ჰორიზონტალური ზოლი. მუქ ფერებშია, ასევე, გამოყოფილი ორი ვერტიკალური სვეტი, რომელთაგან პირველი საარჩევნო სუბიექტების მიერ პროპორციული სისტემით მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობაა, მეორე კი სულ მოპოვებული მანდატების წილი პარლამენტში. სწორედ ამ ორ სვეტში მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლების სხვაობა წარმოადგენს არჩევნების შედეგებიდან გადახრას თითოეული პარტიის ან ბლოკისათვის. გამარჯვებული პარტიის ანალოგური მაჩვენებელი კი „გამარჯვებულის ბონუსს“ წარმოადგენს. ამრიგად, „გამარჯვებულის ბონუსმა“ 1999 წლის არჩევნებზე 13,67 % შეადგინა.

ცხრილი 2

საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგები და საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული მანდატები

საარჩევნო სუბიექტი	ხმების პროცენტული (%)	მანდატების ჯამური	მანდატების ჯამური	ხმების ჯამური	ხმების პროცენტული (%)
„საქართველოს მოქალაქეთა კავშირი”	42,07	85	46	131	55,74
„საქართველოს აღორძინება“	25,41	51	7	58	24,68
“მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”	7,13	14	1	15	6,38
სხვა პარტიები/ბლოკები, რომლებმაც 7%-იანი საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს	25,39	0	2*	2*	0,85*
საინიციატივი ჯგუფის კანდიდატები	-	-	17	17	7,23
აფხაზეთის დეპუტაცია	-	-	12	12	5,11
სულ	**100 %**	**150**	**85**	**235**	**100 %**

** მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე 2 მანდატის მოპოვება შეძლო “საქართველოს ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ”, რომელმაც პროპორციული სისტემით ამომრჩეველთა ხმების 6,82% მიიღო.*

2004 წლის 28 მარტის განმეორებით არჩევნებზე მანდატები მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე განაწილდა. ამის მიზეზი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2003 წლის არჩევნების პროპორციული შედეგების ბათილად ცნობა გახდა. „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ საარჩევნო ბლოკმა ამომრჩეველთა ხმების 66,24% მიიღო და 135 მანდატი მოიპოვა, რაც პროპორციული

სისტემის საფუძველზე სულ განაწილებული მანდატების (150) 90 %-ს შეადგენს (საქართველოს პარლამენტი, 2004). ამდენად, გამარჯვებულის ბონუსმა რეკორდულ მაჩვენებელს, 23,76 %-ს, მიაღწია. აღნიშნილის მიზეზი ბარიერს მიღმა დარჩენილი პარტიებისა და ბლოკების მიერ მიღებული ხმების სიდიდეა, რაც 26,2 % იყო. არჩევნების დეტალური შედეგები მე-3 ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 3

საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 28 მარტის არჩევნების შედეგები და საარჩევნო სუბიექტების მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა

საარჩევნო სუბიექტი	**პროპორციული სისტემით მიღებული ხმების რაოდენობა (%)**	**პროპორციული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა**	**მიღებული მანდატების წილი (%)**
"ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები"	66,24	135	90,0
"მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები"	7,56	15	10,0
სხვა პარტიები/ბლოკები, რომლებმაც 7%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს	26,2	0	-
სულ	**100 %**	**150**	**100 %**

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის არჩევნებზე „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ამომრჩეველთა ხმების 59,18% მიიღო, ხოლო, იქიდან გამომდინარე, რომ მაჟორიტარული სისტემით 75 დეპუტატიდან 71 მანდატი მოიპოვა, პარლამენტში ჯამში 119 დეპუტატით შევიდა, რაც უკვე 150 დეპუტატისაგან შემდგარი საკანონმდებლო ორგანოს სრული შემადგენლობის 79,33%-ს უდრის. „გამარჯვებულის ბონუსმა" 20,15 %-ს მიაღწია. ამ სისტემის წყალობით ენმ-მ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. მაშინ, როდესაც

„გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ ამომრჩეველთა 17,73%-ის მხარდაჭერა მიიღო, პარლამენტში მხოლოდ 17 დეპუტატით შესვლის უფლება მოიპოვა, რაც სრული შემადგენლობის 11,33%-ია. მხოლოდ ორ საარჩევნო ოლქში, დიდუბესა და ვაკეში, გაიყვანა მაჟორიტარი დეპუტატი „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“. ცაგერისა და ყაზბეგის საარჩევნო ოლქებში კი დეპუტატის მანდატი მოიპოვეს „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლებმა. იმ პარტიებისა და ბლოკების მიერ მიღებული მხარდაჭერის მაჩვენებელმა, რომლებმაც 5%-იანი საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს, 7%-მდე შეადგინა, რაც არ არის მაღალი ნიშნული (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2008). შესაბამისად, შეიძლება, განვაცხადოთ, რომ „გამარჯვებულის ბონუსის“ სიდიდეზე მთავარი გავლენა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მანდატების უდიდესი უმრავლესობის პირველ ადგილზე გასული პარტიის მიერ მოპოვებამ იქონია. საარჩევნო სუბიექტების მიერ მოპოვებული ხმებისა და მანდატების შესახებ დეტალური ინფორმაცია მე-4 ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 4

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების შედეგები და საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული მანდატები

საარჩევნო სუბიექტი	პროპორციული სისტემით მიღებული ხმების რაოდენობა (%)	პროპორციული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა	მაჟორიტარული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა	სულ მიღებული მანდატების რაოდენობა	მანდატების წილი პარლამენტში (%)
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსთვის”	59,18	48	71	119	79,33
„გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“	17,73	15	2	17	11,33

„გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები”	8,66	6	0	6	4,00
„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	7,44	6	0	6	4,00
სხვა პარტიები/ბლოკები, რომლებმაც 5%-იანი საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს	6,99	0	2*	2*	1,33*
სულ	**100 %**	**75**	**75**	**150**	**100 %**

** მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე 2 მანდატის მოპოვება შეძლეს "საქართველოს რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლებმა. პარტიამ პროპორციული სისტემით ამომრჩეველთა ხმების 3,78% მიიღო.*

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები ჩვენ მიერ შესწავლილ პერიოდში უნიკალური აღმოჩნდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მანდატები პრაქტიკულად თანაბარი პროპორციით განაწილდა ორ საარჩევნო სუბიექტს, კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, შორის. ამასთან, მხოლოდ 4,69 % შეადგინა 5%-იან საარჩევნო ბარიერს მიღმა დარჩენილი პარტიების/ბლოკების მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობამ (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2012). არჩევნებში გამარჯვებული საარჩევნო ბლოკის, „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“, მიერ მიღებული ხმების პროცენტულ რაოდენობასა და მოპოვებული მანდატების წილს შორის სხვაობა („გამარჯვებულის ბონუსი“) მხოლოდ 1,7 % იყო.

ცხრილი 5

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგები და საარჩევნო სუბიექტების მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა

საარჩევნო სუბიექტი	ჯამურ ხმათა რაოდენობა (%)	ჯამურ ხმათა მაჟორიტარული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა	ჯამურ ხმათა პროპორციული სისტემით მიღებული მანდატების რაოდენობა	სულ მიღებული მანდატების რაოდენობა	მანდატების წილი ჯარიანობაზე (%)
"ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება"	54,97	44	41	85	56,67
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს"	40,34	33	32	65	43,33
სხვა პარტიები/ბლოკები, რომლებმაც 5%-იანი საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს	4.69	0	0	0	-
სულ	**100 %**	**77**	**73**	**150**	**100 %**

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, პროპორციული სისტემით, პარტიამ - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" ამომრჩეველთა ხმების 48,68% მოიპოვა, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" - 27,11%, საარჩევნო ბლოკმა - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია" – 5,01%, სხვა პარტიებმა და ბლოკებმა კი, რომლებმაც 5%-იანი საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს, ჯამში ამომრჩეველთა 19,2%-ის ხმა მიიღეს. მაჟორიტარული სისტემით მანდატების განაწილებისათვის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების დიდ ნაწილში საჭირო გახდა მე-2 ტურის გამართვა (მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს გამარჯვებისათვის, მანამდე არსებული 30%-ის ნაცვლად, 50% უნდა გადაელახათ). საბოლოოდ, 73 მაჟორიტარული მანდატიდან 71 „ქართულმა ოცნებამ" მოიპოვა და პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით,

115 დეპუტატით, შევიდა. საკმაოდ მაღალი იყო ბარიერს მიღმა დარჩენილი პარტიებისა და ბლოკების მიერ მიღებული მხარდაჭერის ჯამური მაჩვენებელიც (19,2%) (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2016). ამ ყველაფრის შედეგად „გამარჯვებულის ბონუსმა“ რეკორდულ მაჩვენებელს, 27,99 %-ს, მიაღწია. არჩევნების შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია მე-6 ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 6

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგები და საარჩევნო სუბიექტების მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა

საარჩევნო სუბიექტი	**ბლოკების ხმების რაოდენობა (%) პროპორციული სისტემით**	**მანდატების რაოდენობა პროპორციული სისტემით**	**მანდატების რაოდენობა მაჟორიტარული სისტემით**	**სულ მიღებული მანდატების რაოდენობა**	**მანდატების წილი პარლამენტში (%)**
„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	48,68	44	71	115	76,67
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	27,11	27	0	27	18,00
„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“	5,01	6	0	6	4,00
სხვა პარტიები/ბლოკები, რომლებმაც 5%-იანი საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს	19,2	0	1*	1*	0,67*
საინიციატივო ჯგუფის კანდიდატი	-	-	1	1	0,67
სულ	**100 %**	**77**	**73**	**150**	**100 %**

** მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე 1 მანდატის მოპოვება შეძლო ბლოკმა „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“, რომელმაც პროპორციული სისტემით ამომრჩეველთა ხმების 0,78% მიიღო.*

1999-2016 წლებში „გამარჯვებულის ბონუსმა ყველაზე მაღალ ნიშნულს 2016 წლის არჩევნებზე მიაღწია (27,99 %). მას მოსდევდა 2004 და 2008 წლის არჩევნები. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი 2012 წლის არჩევნების შედეგად დაფიქსირდა (1,7%). შესწავლილ ხუთ არჩევნებზე გამოვლენილი „გამარჯვებულის ბონუსის“ სიდიდეები ქვემოთ, დიაგრამაზეა წარმოდგენილი.



დიაგრამა

„გამარჯვებულის ბონუსი“ 1999-2016 წლებში (%)

საინტერესოა ჩვენ მიერ შესწავლილი 5 არჩევნების შედეგად გამოვლენილი „გამარჯვებულის ბონუსის“ პიპა ნორისის მიერ შემოთავაზებული უდიდესი გადახრის პუნქტებისთვის შედარება. ამისათვის გამოვყოფთ უდიდესი გადახრის კოეფიციენტს. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ აღემატება თითოეულ არჩევნებზე დაფიქსირებული „გამარჯვებულის ბონუსი“ შესაბამისი საარჩევნო სისტემის უდიდესი გადახრის მაჩვენებელს. 1999, 2008, 2012 და 2016 წლების არჩევნების შედეგებს ვზომავთ შერეული საარჩევნო სისტემის უდიდესი გადახრის პუნქტთან შედარებით. 2004 წლის არჩევნების შედეგებს კი პროპორციული

სისტემის უდიდესი გადახრის მაჩვენებელს შევადარებთ, რადგან ეს არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარდა. თუ უდიდესი გადახრის კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, მაშინ გადახრა ნორმის ფარგლებშია, ხოლო თუ აღნიშნული კოეფიციენტი 1-ს აღემატება, გადახრა ნორმას სცილდება. თუკი კოეფიციენტი 1-ს გაუტოლდება, ეს იმას ნიშნავს, რომ „გამარჯვებულის ბონუსიც“ ნორისისეულ უდიდესი გადახრის მაჩვენებელს უტოლდება. შემთხვევა, როდესაც უგკ 0-ს უდრის, პრაქტიკულად არ ხდება, თუმცა თეორიულად შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით ტარდება და ისიც საარჩევნო ბარიერის გარეშე. ქვემოთ წარმოდგენილია უდიდესი გადახრის კოეფიციენტი ხუთივე არჩევნებისათვის.

ცხრილი 7

უდიდესი გადახრის კოეფიციენტი 1999-2016 წლებში

არჩევნების წელი	უდიდესი გადახრის კოეფიციენტი
1999	1,85
2004	4,17
2008	2,72
2012	0,23
2016	3,78

0 - აბსოლუტური პროპორციულობა (არ არსებობს გადახრა);
<1 - არჩევნების შედეგებიდან გადახრა ნორმის ფარგლებშია;
1 - არჩევნების შედეგებიდან გადახრა უდიდესი გადახრის მაჩვენებელს უტოლდება;
>1 - გადახრა ნორმას აღემატება.

დასკვნა

ჩვენ მიერ შესწავლილი 5 არჩევნებიდან გამარჯვებული საარჩევნო სუბიექტებისათვის არჩევნების შედეგებიდან გადახრის პიპა ნორისის მიერ შემოთავაზებულ ნორმას მხოლოდ ერთი, 2012 წლის, არჩევნები აკმაყოფილებს. აღნიშნული გამონაკლისის მიზეზად რამდენიმე ფაქტორის გამოყოფა შეგვიძლია. ამ არჩევნებზე, პირველად საქართველოს ისტორიაში, ამომრჩეველთა მხარდაჭერა ორი პოლიტიკური ძალის გარშემო თითქმის თანაბრად გაიყო. ერთ მხარეს იყო სახელისუფლო პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო მეორე მხარეს ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილისგან შემდგარი კოალიცია „ქართული ოცნება“. ამ გარემოებამ უზრუნველყო, რომ ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ნაწილში ერთ პოლიტიკურ ძალას, ნაწილში კი მეორეს მოეპოვებინა გამარჯვება. ამასთან, სხვა პარტიებისა და ბლოკების მხარდაჭერის დონე, რომლებმაც ბარიერი ვერ გადალახეს, ძალიან დაბალი იყო. საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ მაჟორიტარული სისტემითაც მანდატები პრაქტიკულად იმავე პროპორციით გაიყო, როგორც პროპორციული სისტემით. ორმა პარტიამ გადალახა საარჩევნო ბარიერი 2004 წლის არჩევნებზეც, თუმცა ამ შემთხვევაში ელექტორატი არ დაყოფილა ორ პარტიას შორის. სხვა პარტიების მხარდაჭერის დონეც არ იყო დაბალი, თუმცა მათ პარლამენტში შესვლა მაღალი საარჩევნო ბარიერის გამო ვერ მოახერხეს.

რაც შეეხება სხვა არჩევნებს, როდესაც ამომრჩეველი ძირითადად 3-4 პარტიას/ბლოკს შორის იყო დაყოფილი, ყველა შემთხვევაში „გამარჯვებულის ბონუსი“ ძალიან მაღალი იყო. ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტები კი მნიშვნელოვნად დაზარალდნენ. მათ მიერ მიღებული მანდატების წილი იმაზე მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, რაც პროპორციული განაწილების შემთხვევაში შეიძლება, მიეღოთ. ამდენად, საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებში ძირითადად არაპროპორციულობა ფიქსირდება.

მოცემული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების პროპორციულობის დონეზე მოქმედებს ორი ფაქტორი:

ბარიერს მიღმა დარჩენილი საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობის სიდიდე და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მანდატების განაწილება. 1999, 2004 და 2016 წლების არჩევნებში იმ პარტიებისა და ბლოკების მიერ მიღებული ხმების საერთო მაჩვენებელი, რომლებმაც საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს, საკმაოდ მაღალი იყო. 1999 და 2004 წლებში ამას განაპირობებდა მაღალი საარჩევნო ბარიერის (7%) არსებობა. 2008 წლიდან, ბარიერის 5%-მდე დაწევის შემდეგ, „დაკარგული ხმების" რაოდენობა შემცირდა, თუმცა 2016 წელს ეს მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა, რაც ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

ცხრილი 8

საარჩევნო ბარიერის გადალახვა 1999-2016 წლებში

არჩევნების წელი	საარჩევნო ბარიერის სიდიდე	ბარიერგადალახული პარტიების/ბლოკების რაოდენობა	ბარიერს მიღმა დარჩენილი პარტიების/ბლოკების მიერ მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობა
1999	7 %	3	25,39 %
2004	7 %	2	26,2 %
2008	5 %	4	6,99 %
2012	5 %	2	4,69 %
2016	5 %	3	19,2 %

არჩევნების შედეგების არაპროპორციულობის განმაპირობებელი მეორე და მთავარი ფაქტორი კი გახდა სისტემა - „გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი". 2008 და 2016 წლებში რეკორდულად მაღალი იყო პირველ ადგილზე გასული პოლიტიკური ძალის მიერ მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე მიღებული მანდატების წილის გადახრა მოპოვებული მხარდაჭერის მაჩვენებლისგან. გამარჯვებული პარტია/ბლოკი

მხოლოდ რამდენიმე მაჟორიტარულ ოლქში კარგავდა მანდატს. შედარებით მეტი მაჟორიტარული მანდატი გამარჯვებულმა პარტიამ 1999 წლის არჩევნებში დათმო, თუმცა გაყვანილი მაჟორიტარი დეპუტატების წილი მაინც მნიშვნელოვნად აღემატებოდა პროპორციული სისტემით ანალოგურ მაჩვენებელს.

ცხრილი 9

არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტიის მიერ მოპოვებული მაჟორიტარული მანდატები 1999-2016 წლებში

არჩევნების წელი	პირველ ადგილზე გასული პარტიის/ბლოკის მიერ მოპოვებული მაჟორიტარული მანდატების რაოდენობა	სულ მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობა	მაჟორიტარული სისიტემის საფუძველზე გამარჯვებული პარტიის/ბლოკის მიერ მოპოვებული მანდატების წილი
1999	46	85 (73)*	54,12 % (63,01 %)*
2008	71	75	94,67 %
2012	41	73	56,16 %
2016	71	73	97,26 %

** 1999 წლის არჩევნებზე მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე 85-დან 73 იქნა არჩეული. დანარჩენი 12 მანდატი აფხაზეთის დეპუტაციაზე განაწილდა.*

ამდენად, საქართველოში არსებული საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს არჩევნების შედეგების პროპორციულ ასახვას მანდატებში. ხელისუფლება ფლობს ბერკეტს, რომ მიიღოს იმაზე გაცილებით მეტი მანდატი, რაც მას პროპორციული წესით შეიძლება, ეკუთვნოდეს. შედეგად, ვიღებთ ისეთ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, სადაც მმართველი ძალის წარმომადგენლობის დონე არ შეესაბამება მისი მხარდაჭერის მაჩვენებელს. არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიები და ბლოკები კი მათ მიერ მოპოვებული მხარდაჭერის დონეზე საგრძნობლად ნაკლებ მანდატს იღებენ. მაშინ, როდესაც ამომრჩეველთა ხმები ორზე მეტ საარჩევნო

სუბიექტს შორის იყოფა, ოპოზიციური პარტიები უფრო მეტად ზარალდებიან, ვიდრე ორპარტიულობის პირობებში.

ბიბლიოგრაფია

რადიო თავისუფლება. (01.07.2011). *„მოგებულს რჩება ყველაფერი“.* ნანახია 05.07.2017, ვებ-გვერდზე: http://www.radiotavisupleba.ge/a/24252429.html

საქართველოს პარლამენტი. (1999). *1999 წლის საპარლამენტო არჩევნები.* ნანახია 05.07.2017, ვებ-გვერდზე: http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/saqartvelos-wina-mowvevis-parlamentebi-1317/saqartvelos-parlamenti-1999-2004-ww-1320

საქართველოს პარლამენტი. (2004). *2003 წლისა და 2004 წლის საპარლამენტო არჩევნები.* ნანახია 05.07.2017, ვებ-გვერდზე: http://parliament.ge/ge/parlamentarebi/saqartvelos-wina-mowvevis-parlamentebi-1317/saqartvelos-parlamenti-2004-2008-ww-1321

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2008). *საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.* ნანახია 06.07.2017, ვებ-გვერდზე: http://www.cesko.ge/uploads/other/2/2675.pdf

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2012). *საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.* ნანახია 07.07.2017, ვებ-გვერდზე: http://cesko.ge/geo/static/2467/shemadjamebeli-oqmi

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. (2016). *საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში.* ნანახია 07.07.2017, ვებ-გვერდზე: http://cesko.ge/geo/static/2495/saqartvelos-parlamentis-2016-tslis-8-oqtombris-archevnebis-angarishi

Norris, P. (1997). Choosing Electoral Systems: Proportional, Majoritarian and Mixed Systems. International Political Science Review. Vol. 18, No. 3, 297-312